ლალი ანთიძე

შოთა რუსაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი

თანასწორობის გაგება დემოკრატიულ საზოგადოებაში

(ალექსის დე ტოკვილის ნაშრომის - „*დემოკრატია ამერიკაში*“ - მიხედვით)

ალექსის დე ტოკვილის ნაშრომი ***დემოკრატია ამერიკაში*** დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებათა სისტემის მრავალმხრივ ანალიზს წარმოადგენს. დემოკრატიის ცნება უპირობო კორელაციაშია თანასწორობის იდეასთან და ამიტომაცაა, რომ დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა სწორედ სოციალური თანასწორობის ფუნდამენტზე დგას. მიუხედავად იმისა, რომ თანასწორობის თემა კაცობრიობის ისტორიის ყველა ეტაპზე ინტერესის საგანი იყო, ახალი დროის ფილოსოფიურმა აზროვნებამ ამ საკითხს განსაკუთრებული აქტუალობა შესძინა. განმანათლებლობის მოაზროვნეთა იდეებმა და როგორც ევროპაში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებში XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე არსებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა ძვრებმა თანასწორობის გაგების საკითხი წმინდა თეორიული სპეკულაციებიდან პრაგმატულ-ემპირიულ ჭრილში გადაიტანა.

მიუხედავად იმისა, რომ ტოკვილის ნაშრომი XIX საუკუნის პირველ ნახევარშია შესრულებული და მასში ძირითადად ამერიკული საზოგადოების ანალიზია გადმოცემული, ეს ნაშრომი საინტერესო უნდა იყოს ნებისმიერი საზოგადოებისთვის, რომელიც დემოკრატიული ღირებულებების დაფუძნებაზე ზრუნავს.

ტოკვილი საუბრობს იმ რისკებზე, რაც თანასწორობის განხორციელებას შეიძლება მოყვეს საზოგადოების სხვადასხვა ფენისა თუ ინსტიტუტების ფორმირების პროცესში. იგი გამოკვეთს ორ ტენდენციას: დამოუკიდებლობისაკენ

სწრაფვა, რაც შესაძლოა ანარქიაში გადაიზარდოს. თუმცა ამ პროცესების კონტროლირება თავად ავტორს შეუძლებლად არ მიაჩნია. ტოკვილი უფრო დიდ საფრთხედ ადამიანების დამონების შეფარულ პროცესს მიიჩნევს, რისი დიაგნოსტიკაც იოლი არაა. ის, შესაძლოა, შენიღბული სახით მოგვევლონოს და სუვერენის მართვის ფორმაში იყოს გამოხატული. ამის მიზეზი, შესაძლებელია, ადამიანების თავისუფლებისადმი დამოკიდებულებების სხვადასხვა მიდგომა იყოს, ვინაიდან ზოგიერთი თავისუფლებას უფრთხის, რადგან იგი შეუძლებლად მიაჩნია, ზოგი კი იმიტომ, რომ თავისუფლება სახიფათოდ მიაჩნიათ და ურჩევნიათ რისკებზე პასუხიმგებელი ვინმე სხვა იყოს (ტოკვილილი, 2011:546). შეიძლება ითქვას, რომ თანასწორობის გაგებისა და განხორციელების სწორედ ეს ასპექტები უნდა იყოს საინტერესო თანამედროვე სოციალური აზროვნებისათვის, ვინაიდან უთანასწორობის უამრავ მოდიფიკაციათა შორის ორიენტირება არც თუ ისეთ მარტივია.

სოციალური თანასწორობის განხორციელების იდეა ყოველთვის ეჯახება ინტელექტუალური თუ პიროვნული უნარების შესაძლებლობების უთანასწორობას. ფსიქოლოგიზმის თვალსაწიერიდან თანასწორობის იდეა ადამიანთა ერთგვარობის, უნიფიცირებისა და აქედან გამომდინარე, მასობრიობის (ინდივიდუალიზმის დაკარგვის) საფრთხეს ქმნის. ამიტომაცაა, რომ თავისუფლების და ამ თავისუფლებაში თანასწორობის არსის კვლევა ყოველთვის უპირატესად ფილოსოფიური განაზრებების საგანია, სადაც პრობლემის ცალსახა (ერთგვაროვანი) გადაჭრის შეუძლებლობა უფრო იკვეთება, ვიდრე მასზე კონკრეტული პასუხების მიღების შესაძლებლობა. ამიტომაცაა, რომ თანასწორობის ასპექტებს შორის სოციალური თანასწორობა გაცილებით იოლად შეიძლება იქცეს საყოველთაო შეთანხმების საგნად, ვიდრე თანასწორობის სხვა რომელიმე ფორმა. ამდენად, მნიშვნელოვანია, თანასწორობის ცნება მკვეთრად გაემიჯნოს სოციალური თანასწორობის ცნებას.

ალექსის დე ტოკვილი ნაშრომში - ***დემოკრატია ამერიკაში*** აღნიშნავს, რომ იგი ძირითადად ეყრდნობა მონტესკიეს შეხედულებებს და რომ სწორედ მონტესკიეს

იდეები ხდება მისთვის დემოკრატიული ინსტიტუტების ანალიზის ინსპირაციის წყარო. ამიტომაცაა, რომ თანასწორობის საკითხის ანალიზისას მის შეხედულებებს ყოველთვის ქვეტექსტის სახით ერთგვარი სკეპტიციზმი გასდევს: თანასწორობა შესაძლებელია როგორც დემოკრატიული, ისე ავტორიტატული რეჟიმების პირობებში, სადაც ადამიანები თანასწორნი არიან, ოღონდ პირველ შემთხვევაში თავისუფლებაში, ხოლო მეორე შემთხვევაში - არათავისუფლებაში. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: სად გადის ზღვარი მათ შორის და არსებობს თუ არა ინდიკატორი, რომელიც ამ ზღვრის გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა?

ასეთ შემთხვევაში ტოკვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს დემოკრატიული ინსტიტუტების როლს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტოკვილის ტექსტი არ არის პანეგირიკი, რომელიც ხოტბას ასხამს თანასწორობის იდეას. უფრო მეტიც, ის მუდმივად აკეთებს აქცენტებს იმ პარადოქსებზე, რაც სოციუმში თანასწორობის დამკვიდრების პროცესს ახლავს და თანასწორობას სწორედ ამ დაპირისპირებულ ურთიერთგამომრიცხაობათა თანაარსებობის კონტექსტში განიხილავს. ვინაიდან სოციალური ურთიერთობები არ არის მყარი მოცემულობა და ის ცოცხალი, თვითგანახლებადი პროცესია. ამგვარ დაპირისპირებათა თანაარსებობა ერთგვარი დიალექტიკური მამოძრავებელია და საზოგადოებრივ ურთიერთობებს მუდმივი განვითარების იმპულსებს აძლევს.

საინტერესოა, კერძოდ რა წინააღმდეგობებს ხედავს ავტორი სოციალური თანასწორობის განხორციელების პროცესში? ტოკვილი მიიჩნევს, რომ:

1. თანასწორობა პიროვნებაში სიმშვიდის ნაცვლად ქედუხრელობასა და ურჩობის განცდას აღვიძებს;

2. თანასწორობის პირობებში ადამიანები ცენტრალიზებულ ხელისუფლებას ანიჭებენ უპირატესობას და მისი ძალაუფლების გაძლიერებაზე არიან ორიენტირებული;

3. ხელისუფლება, თავის მხრივ მოქალაქის ნების დაქვემდებარებას ცდილობს და თანდათანობით სულ უფრო მეტად ართმევს მას თავისუფალი არჩევანის გამოყენების შესაძლებლობას;

4. საზოგადოებრივი სიმშვიდე, რომელიც აუღელვებელი, მოწესრიგებული და მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველია, ხშირად მონობის ფორმას წარმოადგენს;

5. ადამიანები მუდმივად მიდრეკილნი არიან იმისკენ, რომ განიცდიან სხვისი ხელმძღვანელობის საჭიროებას ანუ სხვისი მხრიდან მათზე ზრუნვის მოთხოვნილებას და, იმავდროულად, პიროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ლამობენ (ტოკვილი, 2011:517-551).

აღსანიშნავია, რომ ტოკვილი სოციუმში მიმდინარე პროცესებს ადამიანის ფსიქიკის თავისებურებებიდან ხსნის და ამ თვალსაზრისით, სოციალურ ურთიერთობებში ფსიქოლოგიზმის ერთ-ერთ დამფუძნებლადაც კი შეიძლება ვაღიაროთ. მის შეხედულებებში ადამიანის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნაა ჩადებული, სოციალური ორგანიზმი კი ზოგადად ადამიანის ფსიქოლოგიური მოცემულობის ანალოგიითაა გააზრებული.

ტოკვილის მოსაზრებებს ყოველთვის ახლავს მომავლის კონტურებისადმი განსაკუთრებული მგრძნობელობა და წინასწარმეტყველური დასკვნების გამოტანის უნარი, რომელიც მისი თანამედროვე პროცესების სიღრმისეულ ანალიზს ეფუძნება. ისტორიული ასპარეზიდან გვაროვნული არისტოკრატიული ფენის წასვლის შემდეგ სოციალური თანასწორობის პრობლემა არ გადაჭრილა. ქვეყნების დემოკრატიული მოწყობის პირობებშიც კი მისი უამრავი შენიღბული ფორმა არსებობს პოლიტიკური, ეკონომიკური, თანამდებობრივ-ნომენკლატორული თუ სხვა ფორმის ,,არისტოკრატიის“ სახით. როგორც ჯონ სტიუარტ მილი აღნიშნავს: ,,იქამდე, ვიდრე ადამიანები სჯერდებოდნენ იმას, რომ ერთი მტერი მეორის საშუალებით დაემარცხებინათ და ბატონის მმართველობის ქვეშ ყოფილიყვნენ იმ პირობით, რომ მისი ტირანიისაგან მეტ-ნაკლებად ეფექტურად იქნებოდნენ დაზღვეულები, მათი მისწრაფება ამაზე შორს არ ვრცელდებოდა“ (მილი, 2010:45). ამდენად, ნებისმიერი

საზოგადოების პირობებში არის შესაძლებელი თეორიული ან მორალური არგუმენტებით გამართლება მოეძებნოს თანასწორობის დარღვევის კონკრეტულ მოცემულობებს.

თანასწორობის დარღვევის ერთ-ერთი ასპექტი ხელისუფლებისა და მოქალაქეთა ურთიერდამოკიდებულებაში ვლინდება. თანამედროვეობის ყველა დიქტატორული მოდელის მიზეზი სწორედ ხელისუფლებისა და საზოგადოების დამოკიდებულებაშია საძიებელი. ,,რამდენადაც ხელისუფლება მუდამ მოითხოვს მორჩილებას, ის ხშირად ეშლებათ ხოლმე ძალაუფლების ზოგიერთ ფორმაში ან სულაც ძალადობაში. მიუხედავად ამისა, ხელისუფლება გულისხმობს იძულების გარეგან მექანიზმებზე უარის თქმას. იქ, სადაც ძალდობას აქვს ადგილი, თავად ხელისუფლება მარცხდება!“ (არენდტი, 2015: 21). ჰანა არენდტის ეს მოსაზრება ახალი ტიპის პოლიტიკური მოწყობის ძირითადი პოსტულატია, მაგრამ, ძალიან ხშირად, ასეთი მარტივი და საყოველთაოდ მისაღები მოსაზრებების მიღმა მათი განხორციელების უტოპიურობა იმალება. ხშირ შემთხვევაში ხომ ძალადობისა ხელისუფლების ძალაუფლების ერთმანეთისაგან გამიჯვნა შეუძლებელი ხდება და კიდევ ერთი პარადოქსის საფუძველი ხდება: ,,...თუკი ძალადობა იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც ხელისუფლება - კეროდ კი, ხალხს მორჩილებას აიძულებს, მაშინ გამოდის, რომ ძალადობა ხელისუფლება ყოფილა“ (არენდტი, 2015:43). ამგვარი პარადოქსებისაგან თუ ტრუიზმებისაგან თავის დახსნის საშუალებად ტოკვილს კომუნების არსებობა მიაჩნია, რაც თანამედროვე ლექსიკით მოქალაქეთა ჩართულობას შეიძლება გაუტოლდეს. კომუნა თავად ქმნის იმ პოლიტიკური აქტორებს, რომელიც საზოგადოების განვითარების და სოციალური ურთიერთობების ბირთვი ხდება.

დემოკრატიის ძირითადი პრინციპები,[1] რომელიც თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტს წარმოადგენს, მეტ-ნაკლებად

[1] როგორიცაა, მაგ., მოქალაქეთა თანამონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში, ხელისუფლების კონტროლი და ანგარიშვალდებულება მოქალაქეთა წინაშე, თავისუფალი და

არეგულირებს სოციალური თანასწორობის განხორციელებას და შეიძლება ითქვას, რომ ამ თანასწორობის ერთგვარ გარანტსაც წარმოადგენს. მაგრამ უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ კონვენციურად მიღებული ან თუნდაც საკანონმდებლო დონეზე დეკლარირებული გადაწყვეტილებები შესაძლოა, მიმდინარე სოციალური პროცესების მიღმა დარჩეს, თუ არ მოხდა მათი მენტალურ დონეზე მიღება და სოციუმის მიერ კულტურის დონეზე შესისხლხორცება. გუსტავ ლე ბონი აღნიშნავს, რომ ,,...რამდენადაც რომელიმე ცივილიზაციის ელემენტები შეესაბამება მემკვიდრეობითობის ხანგრძლივი ზემოქმედებით შექმნის სავსებით განსაზღვრულ სულიერ წყობას, შეუძლებელია მათი შეცვლა იმ სულიერი წყობის შეცვლის გარეშე, საიდანაც ისინი მომდინარეობენ“ (ბონი, 2013:64). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი სახის ხელოვნური ჩარევა ან კიდევ ერთი შეხედვით პროგრესული იდეების ჩანერგვა ამა თუ იმ საზოგადეობაში ტრანსპლატაციის რომელიმე ფორმად შეიძლება მოგვევლინოს და პროგრესის ნაცვლად სოციალური ურთიერთობების დეგრადაციის საფუძველი გახდეს. თანასწორობის საკითხის ბოლომდე გადაჭრა ვერც მსოფლიო რელიგიებმა შეძლეს. ცვლილებების განხორციელება ზემოდან ქვემოთ (ხელისუფლების მიერ) უფრო მტკივნეულია საზოგადოებისათვის, ვიდრე პირიქით, სოციუმიდან წამოსული ინიციატივები, ვინაიდან ასეთი ცვლილებების განხორციელება საზოგადოებაზე განხორციელებულ ძალადობად აღიქმება და საპირისპირო რეაქციის გამომწვევი მიზეზი ხდება. ტოკვილს თანასწორობის საფუძვლად ინდივიდების ხელისუფლების როლისადმი რაციონალური დამოკიდებულება მიაჩნია: ,,ინდივიდი საზოგადოების მორჩილია არ იმიტომ, რომ იგი იმაზე ჩამორჩენილია ვინც ქვეყანას მართავს, ანდა სხვებზე ნაკლებად შესწევს საკუთარი თავის მართვის უნარი; არა, ეს იმიტომ ხდება, რომ თავისიანებთან კავშირი მას სასარგებლოდ მიაჩნია, თანაც იცის, რომ ხსენებულ კავშირს

სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფა, ადამიანის უფლებების დაცვა, ეკონომიკური თავისუფლება, რელიგიური და პოლიტიკური ტოლერანტობა და სხვ.

მარეგულირებელი ხელისუფლების გარეშე არსებობა არ ძალუძს“ (ტოკვილი, 2011:60).

მიუხედავად იმისა, რომ ტოკვილის ნაშრომი საუკუნენახევრის წინ არის შექმნილი, მისი შეხედულებები იმ საფრთხეების შესახებ, რაც თანასწორობის იდეას ემუქრება, კვლავაც აქტუალურია. ხოლო სოციალური თანასწორობის განხორციელების მისეული მოდელი, რომელიც ამერიკული საზოგადოების ფორმატზე არის მორგებული, უფრო მეტი განზოგადების საშუალებას იძლევა. ამდენად, მისი შეხედულებები არ შეიძლება მხოლოდ ერთი საზოგადოების ან იმ კონკრეტული ეპოქის კონტექსტში განიხილებოდეს. ამ ნაშრომის აქტუალობა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სოციალური დრო შესაძლებელია ისტორიულ დროს არ ემთხვეოდეს და სხვადასხვა ეპოქაში ერთი და იგივე სოციალური პრობლემა იდენტური გარემოებების შედეგი იყოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არენდტი ჰანა, „რა არის ხელისუფლება?“, გამომცემლობა ,,ნეკერი“, თბილისი, 2015.
2. ლე ბონი გუსტავ, „ერებისა და ბრბოს ფსიქოლოგია“, გამომცემლობა „მთაწმინდელი“,თბილისი 2013.
3. მილი ჯონ სტიუარტ, „თავისუფლების შესახებ. უტილიტარიზმი“, გამომცემლობა ,,დიოგენე”, თბილისი, 2010.
4. პეინი თომას, „საღი აზრი“, გამომცემლობა „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი“, თბილისი, 2011.
5. ტოკვილი ალექსის დე, „დემოკრატია ამერიკაში“, გამომცემლობა „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი“, თბილისი, 2011.
6. ჰობსბაუმი ერიკ, „ერები და ნაციონალიზმი 1780 წლიდან - პროგრამა, მითი, რეალობა“, გამომცემლობა „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“, თბილისი, 2012.

4. 5.

6.